ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის უფლების მქონე პირთათვის საუნივერსიტეტო რეგისტრაციის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის განსაზღვრის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2010 წლის 27 დეკემბრის №114 ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის №27/ნ ბრძანების მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ" მე-7 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2011 წლის 3 თებერვლის №03-1246/11 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2010-2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესით საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე გადმოსვლის უფლების მქონე პირთათვის რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს 2011 წლის 7 თებერვლიდან 11 თებერვლის ჩათვლით (უნივერსიტეტის კანცელარია, მის. თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზირი №3/5) შემდეგი ფაკულტეტებისათვის:

ა) მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურზე;

ბ) ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურზე;

გ) სამართლის ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურზე;

დ) სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურზე.

2. მობილობის უფლების მქონე პირებმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება რექტორის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა უმაღლესი საგანმათლებლო დაწესებულებაში სწავლების შესახებ ფაკულტეტისა და პროგრამის მითითებით, რომელიც გაცემული იქნება 2011 წელს;

დ) ერთიანი ეროვნული ან ერთიანი სამაგისტრო გამოცდების გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატის ასლი ბაკალავრიატისა ან მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის;

ე) ჩარიცხვის ბრძანების დამოწმებული ასლი;

ვ) სტუდენტის სტატუსშეწყვეტილმა პირმა, რომელსაც აქვს მობილობის უფლება უნდა წარმოადგინოს ბრძანების ასლი სტატუსის შეწყვეტის შესახებ;

ზ) უმაღლესი საგანამანთლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის მიერ განვლილი სასწავლო კურსებისა და მიღებული შეფასებების შესახებ;

თ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომის ასლი დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების მსურველთათვის;

3. საბუთების მიღება იწარმოებს 2011 წლის 7 თებერვლიდან 11 თებერვლის ჩათვლით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში 10:00 საათიდან 18:00 საათამდე (მის: თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზირი №3/5).

4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების განთავსება საჯარო გაცნობისათვის;

5. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ბრძანების ასლები უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტმენტს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაცო ტექნოლოგიების სამსახურს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

რექტორი გიგი თევზაძე